საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

მოგახსენებთ, რომ ფიზიკური პირი ნიკოლოზ მამინაშვილი(პ/ნ 33001032535) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაკვანეთში, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გეგმავს შავი მოცვის პლანტაციის გაშენებას.

ბაღის გაშენება სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში იგეგმება.

პლანტაციის გაშენება-მოწყობისათვის და შემდგომი ექპლოატაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, როგორც პლანტაციის განაშენიანებისას ასევე პლანტაციის ექპლოატაციისას, განსაკუთრებით, გვალვის პერიოდში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმო გეგმავს მოაწყოს წვეთოვანი სარწყავი სისტემა და მორწყვისათვის საჭირო წყალი ამოიღოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან, კერძოდ, უსახელო ღელედან(მდ. ბჟუჟას შენაკადი)

ვინაიდან ზემოთ აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის, 1.3- ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტრო ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ . საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წარმოგიდგენთ საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებს.

დანართი N1 – „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები;

პატივისცემით,

ფ/პ ნიკოლოზ მამინაშვილი

საკონტაქტო პირი- ქეთევან ნადირაშვილი, ტელ:577992959 ; ელ. ფოსტა: a.c.garemo@gmail.com

დანართი N1

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. **მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ**: ფიზიკურ პირს ნიკოლოზ მამინაშვილი (პ/ნ33001032535) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაკვანეთში, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 26.14.11.140 გეგმავს შავი მოცვის პლანტაციის გაშენებას.(დანართი N1-1 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან)

   პროექტი ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს პროექტების „დანერეგე მომავალი“ და შეღავათიანი აგროკრედიტის შესაბამისი პროგრამების თანადაფინანსებით. პლანტაციაში მოყვანილი პროდუქცია რეალიზებული იქნება, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე, გავა ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში.

   შავი მოცვის პლანტაციის მოწყობა იგეგმება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ 26.14.11.140. მოცვის პლანტაციის გაშენება იგეგმება 5000.00 $მ^2$ (0,5ჰა) ფართობზე, სადაც შესაძლებელია 3000-მდე ერთეული შავი მოცვის ნერგის დარგვა/გახარება და ექსპლოატაცია.

   პლანტაციის გაშენებისათვის და ექსპლოატაციისათვის განსაკუთრებით, წლის გვალვიან პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, რომელიც განხორციელდება წვეთოვანი სისიტემის გამოყენებით. რისთვისაც საჭიროა პლანტაციის ტერიტორიის უზრუნველყოფა საკმარისი სარწყავი წყლით.

   პლანტაციის გაშენების ადგილის კლიმატის, ასევე, შავი მოცვის გაშენება-მოყვანის სპეციფიკის თანახმად, გაშენებული მოცვის ბაღის (3000 მოცვის ნერგი) საირიგაციო პროგრამის მიხედვით 1 ნერგის მოსარწყავად გათვალისიწნებულია მაქსიმუმ 6 ლ წყალი. შესაბამისად, გაშენებული ზრდასრული 3000 ნერგის მოსარწყავად (ერთი მორწყვა) საჭირო იქნება 18 $მ^3$ წყალი.

   პლანტაციის მორწყვა განხორციელდება ზაფხულის პერიოდში თვეში 3-4-ჯერ(სულ მაქსიმუმ 12-ჯერ). მორწყვის პროცესისათვის წლიურად საჭირო მაქსიმალური წყლის რაოდენობა იქნება $18მ^3$*12= $216მ^3$(ათასი ლიტრი) წყალი.

   სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად, იგეგმება წვეთოვანი სისტემის მოწყობა. მოცვის ნარგავების მოსარწყავად წყლის იგეგმება მდ. ბჟუჟას და უსახელო ღელეს ფილტრატების ამოღება (მდინარე ბჟუჟას და მის შენაკად უსახელო ღელეს კალაპოტიდან), რომელიც ჩამოედინება მიწის ნაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

   პლანტაციის მორწყვის წლიური ციკლი იწყება ივნისის თვიდან და სრულდება აგვისტოს ბოლოს.

2. **პროექტის განხორციელების ადგილი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაკვანეთი (დანართი N1-2 - სიტუაციური რუკა)

3. **მონაცემები პროექტის განხორციელებლის შესახებ** მოცემულია ცხრილი N1-ში

საქმიანობის განმხორციელებელი	ფ/პ ნიკოლოზ მამინაშვილი
ობიექტის მისამართი:	
ფაქტობრივი	ოზურგეთის რ-ნი, სოფ. მაკვანეთი
იურდიული	ოზურგეთის რაიონი, სოფ. მაკვანეთი
საიდენტიფაკციო კოდი	33001032535
ტელეფონი:	577106830
ელ-ფოსტა:	chavleshvili-arnold.2@mail.ru
ეკონომიკური საქმიანობის სახე	სოფლის მეურნეობა.
დაგეგმილი საქმიანობა	სარწყავი სისტემის მოწყობა

4. **წყალაღების კოორდინატები:** X-253831.1341; Y-4643546.2053;
5. **წყალაღების ობიექტის დახასიათება:** ობიექტის სარწყავი წყლით მომარაგება გათვალისწინებულია ე.წ. ღელეწყლების და მდინარე ბჟუჟას ფილტრატებიდან. კერძოდ, იგეგმება უსახელო ღელეს და მდ. ბჟუჟას ფილტრატის ამოღება. დაგეგმილი საქმიანობის, მოცვის პლანტაციის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოედინება უსახელო ღელე, რომელიც წყალაღების წერტილიდან 60-ში უერთდება მდინარე ბჟუჟას. ღელე გაედინება დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის ს/კ 26.14.11.140 მიმდებარედ და ასრულებს მიმდებარე ტერიტორიების ჭარბი წყლებისაგან დამშრობის ფუნქციას.

   მდ. ბჟუჟა(ბჟუჟი) — მდინარეა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ნატანების მარცხენა შენაკადი. სიგრძე 32,5 კმ, საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან 14,3 მ³/წმ, ბჟუჟის მთავარი შენაკადებია კოლოვა და აჭისწყალი. სათავე აქვს ხინოს მთის ჩრდილოეთ კალთაზე. ჩამოუდის კურორტ გომისმთას. ბჟუჟი გაივლის სოფლებში: გომი, გონებისკარი, წითელმთა, შემოქმედი, კვირიკეთი, ქვემო მაკვანეთი. ქალაქ ოზურგეთში ბჟუჟს უერთდება აჭისწყალი და ორი მცირე მდინარე: ნაბჟუარა და სკურჩა. სოფელ გურიანთასთან ერთვის მდინარე ნატანებს. აუზი 164 ჰა-ია, ძირითადად იკვებება მიწისქვეშა წყლებით, წყაროებით, ასევე ატმოსფერული ნალექების წყლებით.

   უსახელო ღელე სათავეს იღებს სოფ. მაკვანეთის ტერტორიაზე. ღელეს საშუალო სიგანე პლანტაციასთან 5-6 მ-ია, საშუალო სიჩქარე 0,6 მ/წმ. საშუალო სიღრმე 0,3 მ, საშუალო ხარჯი 32 ლ/წმ; ღელეს მიმდებარე ტერიტორიების ჭარბი წყლებისაგან დამშრობის ფუნქციას ატარებს.

   დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან: 70 მ;

6. სამშენებლო სამუშაოები

დაგეგმილი სამუშაოების ფაზები:

- მოსამზადებელი სამუშაოები;
- ტრანშეების მომზადება ;
- ფერტიგაციის რეზერვუარის მოწყობა;
- წყლის შემგროვებელ ჭაში, წყლის ტუმბოს მოწყობის სამუშაოები;
- ტრანშეების ამოვსებითი სამუშაოები;

პროექტით განსაზღვული სამუშაოების განხორციელების პროცესში სამშენებლო ბანაკის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილი არ არის. მშენებლობის და მოწყობის სამუშაოებისთვის დამატებითი გზების მოწყობის საჭიროება არ არის. საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოიყენება არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა, რაც საკმარისია როგორც მშენებლობის უზრუნველყოფისთვის, ასევე ექსპლუატაციის ფაზაზე. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების მოწყობა არ იგეგმება. პროექტით არ იგეგმება არცერთი მრავალწლიანი ხე-მცენარის გარემოდან ამოღება.

პროექტით, წყალაღებიის წერტილი იქნება წყალშემკრები ჭა, რომელიც გათავსებული იქნება მდ. ბჟუჟას და უსახელო ღელეს კალაპოტში, მდ. ბჭუჟას წყლის ნაკადიდან 25მ-ში, ხოლო ღელეს წყლის ნაკადიდან 4მ-ში. წყლაშემკრები ჭიდან ფერტიგაციის რეზერვუარამდე მილსადენის სიგრძე იქნება 63 მ-ს. მილსადენი განთავსდება 0.10მ სიღრმის და 0.20 მ სიგანის ტრანშეაში, სადაც მილსადენთან ერთად განთავსდება ელექტროკაბელი. ფერტიგაციის რეზერვუარიდან მოცვის დასარგავი ორმოებამდე ასევე გაკეთდება ტრანშეები, რომელთა სიღრმე იქნება 10 სმ ხოლო სიგანე 20სმ, სადაც განთავსდება სარწყავი მაგისტრალური(25მმ-იანი) და რიგთაშორისი მილები(12მმ).

ფერტიგაციის რეზერვუარიდან მოცვის ნარგაობებამდე დასაკავშირელად მოსაწყობი მაგისტრალური მილსადენების საერთო სიგრძე (ჯამში) იქნება 1000მ, რომლებიც განთავსდება მიწის ქვეშ გაჭილ ტრანშეებში. მილსადენების ტრანშეაში ჩალაგების შემდგომ დაბრუნდება ტრანშეადან ამღებული მიწა უკუყრილის სახით.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები დიდ ადამიანურ და დროის რესურს არ მოითხოვს . ექსკავირებული გრუნტის(მიწის ნაყოფიერი ფენის) სიღრმე 0,10 მეტრს არ აღემატება. ტრანშეის ერთ მხარეს განთავსდება მილსადენის დერეფანში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა (საშუალოდ სიმძლავრე 10 სმ) მილის ტრანშეაში განთავსების შემდგომ ექსკავირებული მიწის ფენა მთლიანად უკუყრილის სახით იქნება გამოყენებული .

ტრანშეების გაჭრა და მილსადენების გრუნტში განთავსება განხორციელდება ხელით.

საპროექტო ნაკვეთის პერიმეტრი შემოღობილი და დაცულია უცხო პირების

მოხვედრისაგან.

გამოყენებული ტექნიკის რაოდენობა და ჩამონათვალი - სამშენებლო სამუშაოები ხელით განხორციელდება , სამუაო ტექნიკის გამოყენება არ იგეგმება.

დასაქმებული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო საათები;

სამელიორაციო სისტემის მოწყობა დაგეგმილია მაქსიმუმ 5-7 კალენდარული დღის მანძილზე. სულ ობიექტზე დასაქმებული იქნება 5-8 მუშა-პერსონალი. საპროექტო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია დღის საათებში 8 სთ. სამუშაო გრაფიკით.

დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისათვის ერთ-ერთ აუცილებელ რესურსს წარმოადგენს წყალი, რომელსაც კომპანია აიღებს უსახელო ღელეს ფილტრატებიდან. ზრდასრული ნერგის შემთხვევაში დღე-ღამეში მორწყვისთვის წყლის მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 18 $მ^3$ წყალი.

პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება საქმიანობის განმახორციელებლის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი. სხვა ბუნებრივი რესურსის გამოყენება პროექტით არ იგეგმება.

6. **საქმიანობის აღწერა** - ლურჯი მოცვის დარგვისა და მოვლის წესები) ლურჯი მოცვი ახალი სასოფლო–სამეურნეო კულტურაა საქართველოსთვის, რომლის დანერგვა თავის პოზიტიურ როლს ასრულებს ადგილობრივი ფერმერების წარმოების და შემოსავლების ზრდის კუთხით.

ლურჯი მოცვი ყინვაგამძლე, ბუჩქოვანი, კენკროვანი კულტურაა, რომელიც იძლევა ლურჯი ფერის მრგვალ ნაყოფს. ვერ იტანს გვალვას. ხასიათდება მაღალი მდგრადობით დაავადებების მიმართ. მაღალი კვებითი და დიეტური თვისებების გამო, იგი ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში და მომხმარებელთა დიდ ყურადღებას იმსახურებს. ლურჯი მოცვის დარგვა შეიძლება, როგორც შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულზეც.

ყვავის მაის–ივნისის თვეში, ნაყოფი მწიფდება ივლის–აგვისტოში. შეიცავს C ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, გამოიყენება კულინარიაში, ხალხურ მედიცინაში, აქვს ანტიოქსიდური თვისებები. მოცვი სიმაღლეში 2 მეტრამდე იზრდება.

ლურჯი მოცვი გაშენებისათვის მოითხოვს ტენიან, მსუბუქ და კარგი დრენაჟის მქონე სპეციფიკურ ნიადაგს. იგი კარგად ხარობს მხოლოდ მჟავე ნიადაგებზე, ანუ იმ ნიადაგებზე, რომელიც რეკომენდებულია ჩაის გასაშენებლად. ნიადაგის ოპტიმალური pH მაჩვენებელი უნდა იყოს 4.0–დან 5.0–მდე, დარგვის წინ ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება ხდება ნიადაგის ზედაფენაში ნახერხის, კომპოსტის ან ტორფის შერევით.

გაშენებამდე 1 წლით ადრე ნიადაგი უნდა მოიხვნას 40-50 სმ-ის სიღრმეზე. შემდეგ ჯვარედინად გადაიხვნას 30-35 სმ-ის სიღრმეზე, დაიფარცხოს და დაიგეგმოს. ლურჯი მოცვის გაშენება, როგორც წესი ხდება ბაზო-კვლების (სფერული) სისტემით.

ნერგების დარგვისას მცენარის ფესვთა სისტემა მთლიანად უნდა მოთავსდეს ნიადაგში, მოიტკეპნოს და მოირწყას. ნერგის დასარგავად, საჭიროა მომზადდეს ორმოები, რომელთაც ექნებათ არანაკლებ 30 სმ. დიამეტრი და 40 სმ სიღრმე. რიგთაშორისებში დაშორების მანძილი უნდა იყოს 3-3,2 მ. ხოლო რიგებში მცენარეთა შორის დაშორება 0,9-1,2 მ. ასეთნაირად გაშენებულ მოცვის პლანტაციებში პირველ სამ წელიწადს მცენარის გამოკვება ხდება წინასწარ მომზადებული მინერალური სასუქების ნაზავით. ნაზავის თანაფარდობა შემდეგნაირია: ამონიუმის სულფატი 90 გრ, სუპერფოსფატი 110 გრ, და კალიუმის სულფატი 40 გრ. ასეთნაირად მომზადებული ნაზავი შეაქვთ ნერგის ირგვლივ შემდეგი ოდენობით: ერთ წლიან ბუჩქზე ერთი სუფრის კოვზი, ორ წლიანზე ორი სუფრის კოვზი, სამ წლიანზე სამი სუფრის კოვზი, ოთხ წლიანზე ოთხი სუფრის კოვზი, ხუთ წლიანზე რვა სუფრის კოვზი, ექვსწლიანზე და მეტი ასაკის ბუჩქზე კი თექვსმეტი სუფრის კოვზი. ერთი სუფრის კოვზის ასეთის ნაზავის წონა შეადგენს 10 გრ-ს. ვეგეტაციის პერიოდში გამოკვება ასეთი ნაზავით ხდება ორჯერადად, ადრე გაზაფხულზე მცენარის მასიური ყვავილობისას და ნაყოფის გამონასკვის შემდეგ. სასუქის მიღების შემდეგ სასურველია მცენარე მოირწყას. თუ პალანტაციაში წვეთობრივი მორწყვის სისტემა მოქმედებს, ამ ნაზავის მცენარესათვის მიწოდება შეიძლება მორწყვასთან ერთად.

მორწყვა უნდა მოხდეს კლიმატის მიხედვით დაახლოებით კვირაში ერთხელ, ერთ ძირ ნერგზე ყვავილობამდე 2.5-2.7 ლიტრი, ყვავილობისას 3.5, შემდეგ 3.0-3.5 ლიტრი კვირაში ერთხელ. სრულ მსხმოიარობაში შესულ ბუჩქებს სხლავენ ისეთნაირად, რომ ბუჩქზე მივიღოთ თანაბრად განაწილებული საყვავილე ყლორტები. ამისათვის ბუჩქს აცლიან დაბალ და სუსტ ნაზარდებს, ასევე დაავადებულ და ფიზიკურად დაზიანებულ ტოტებს. მოცვი სრულ მსხმოიარობას აღწევს 6-10 წლის ასაკში.

7. **ტექნოლოგიური პროცესის აღწერა:**

პლანტაციის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი სარწყავი ქსელის მოწყობა. ამ მეთოდით მცენარეებს დროულად მიეწოდება საჭირო რაოდენობის წყალი, რომელსაც მცენარე ვერ იღებს ნალექებით. წვეთოვანი მორწყვის სისტემის გამოყენებისას, წყალი მცენარეებს მიეწოდება ფესვებთან, წვეთების სახით სპეციალურად გაყვანილი მრავალჯერადი გამოყენების პოლიმერული მილებით.

მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობების, კერძოდ, კი იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, ნოლის ტოლია, სარწყავი სისტემის მოსაწყობად ღრმა ტრანშეების გაყვანა საჭირო არ იქნება და მისი განთავსება მოხდება მიწის ზედაპირთან ახლოს, 5-10 სმ სიღრმეში, რათა გამოირიცხოს შემდგომში სასოფლო-სასოფლო ტექნიკის მუშაობისას მათი დაზიანება. საჭიროების შემთხვევაში წყალთან ერთად მცენარეს მიეწოდება წყალში გახსნილი მინერალური სასუქები. აღნიშნულ პროცესს ფერტიგაცია ეწოდება.

სარწყავი წყლის აღება მოხდება მდ. ბჟუჟას და უსახელო ღელეს ფილტრატებიდან რომელებიც მიწის ნაკვეთი ს/კ 26.14.11.140, მიჯნაზე მიედინებიან. მდინარის კალაპოტში(ღელეს მდ. ბჟუჟასთან შესართავში) მოეწყობა წყალშემკრები ორმო(ჭა), რომელშიც მოხდება მდინარის და ღელეს ფილტრატი წყლების აკუმულირება. კერძოდ, კალაპოტში ამოითხრება 3მ სიღრმის ორმო, რომელშიც ჩალაგდება ბეტონის სარტყელები. ორმო(ჭა) დაიხურება(მოეწყობა ორმოს თავსახური), რომ გამოირიცხოს ორმოში ცოცხალი ორგანიზმები ჩავარდნა.

ჭაში დამონტაჟდება წყლის ტუმბო. მოსარწყავად აღებულ წყალში ცოცხალი ორგანიზმების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად ორმოდან ამომავალ წყლის მილის თავი დაფარული იქნება ბადით, რომლის თვალის სიდიდე 0,1 სმ-ია.(მწერდამჭერი ბადე). წყალაღების წერტილიდან - კოორდინატებით X-253831.1341;Y-4643546.2053 (ფილტრატების შემკრები ჭიდან) მილით(რომლის სიგრძე 63მ-ია) წყლის ელექტრო-ტუმბოთი ამოქაჩული წყალი გადავა ფერტიგაციის რეზერვუარში. ჭა არ შეასრულებს რეზერვუარის ფუნქციას, (რეზერვუარის განმარტება: ნაგებობა ან სპეციალური ჭურჭელი სითხის ან სხვა რამის მოსათავსებელად, შესანახად ან გადასაზიდად.) ჭას ექნება მხოლოდ წყლის დროებით აკუმულაციის ფუნქცია.

წყლის შემგროვებელი ჭა ბაღის საზღვარზეა განთავსებული. ჭიდან უახლოეს მოსახლესთან დაშორება 70მ-ია. ელექტრო-ტუმბო განთავსდება ჭაზე. ტუმბოს განთავსების კოორდინატები იქნება: X-253831.1341;Y-4643546.2053.

ჭიდან წყლის ამოქაჩვა განხორციელდება საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრო-ტუმბოს მეშვეობით. კერძოდ, წყალ-შემკრებ ჭაზე დაიდგმება 1 ერთეული ელექტრო ტუმბო(მცირე ზომის საყოფაცხოვრებო დანიშნულების -1 კვტ/სთ). ტუმბოს მიერ საათში ამოქაჩული იქნება 2 $მ^3$ წყალი.

ჭიდან წყალი მიეწოდება წვეთოვანი სისტემისთვის წყლის გამანაწილებელი სადგურს-ფერტიგაციის რეზერვუარს X-253788.0978; Y-4643500.8350, რომლის მოცულობა $1მ^3$. ფერტიგაციის დანადგარში სათანადო ფილტრებში ფილტრაციის შემდეგ წყალი მაგისტრალურ მილსადენს მიეწოდება. ფერტიგაციის დანადგარის სიმძლავრე (გატარებული წყლის მოცულობა) შეადგენს 2000ლ(2ტ)-სთ-ში.

ტუმბოს მიერ საათში ამოქაჩული რაოდენობა იქნება - $2მ^3$ წყალი. გამანაწილებელი მილსადენიდან წყალი 12-25 მმ დიამეტრის (მ.შ. მაგისტრალური მილების დიამეტრი იქნება 25მმ, ხოლო რიგთაშორისი სარწყავი მილების 12მმ) სარწყავ მილსადენებში ნაწილდება, რომლებშიც ჩამონტაჟებულია საწვეთურები. მილსადენები განთავსდება მიწის პირზე 10 სმ სიღრმეზე. ეს მილები შავი მოცვის ბაღებში მცენარეთა ძირების გასწვრივ ეწყობა ისე, რომ საწვეთურები ფესვებიდან 0-5 სმ სიმაღლეზე იყოს განთავსებული.

მაგისტრალური მილსადენების, რომლებიც გამოყენებული იქნება გამანაწილებელი სატუმბი სადგურიდან მოცვის ბაღამდე წყლის მისაწოდებლად, სრული სიგრძე იქნება დაახლოებით 500 მ, ხოლო რიგთაშორისი სარწყავი მილების დაახლოებით 500მ.

მიწის ნაკვეთი ელექტროფიცირებულია. არ იგეგმება მდინარიდან ამოღებული წყლის რეზერვუარში დაგროვება.

გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით:

თვე	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სულ
მდინარიდან ამოსაღები წყლის მოცულობა	72 $მ^3$	72$მ^3$	72$მ^3$	216 $მ^3$

8. **გამოსაყენებელი წყლის მოცულობა: -** წლიურად შეადგენს 216 კუბურ მეტრს.
9. **ინფორმაცია სხვა წყალმომხმარებლების შესახებ** - უსახელო ღელედან სხვა წყალმომხამარებლებზე ინფორმაცია არ არსებობს.

   გამომდინარე იქიდან, რომ წყლის ამოღება უშუალოდ მდინარიდან არ იგეგმება და მხოლოდ მდინარის ფილტრატის გამოყენებაა დაგეგმილი, ასეთების არსებობის შემთხვევაშიც ეკოსისტემაზე ზეგავლენას არ ექნება ადგილი. გვალვის ან ახალი წყალმომხმარებლების დამატების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს წყლის შემგროვებელ ორმოს(ჭის) წყლით შევსების შენელება. ამ შემთხვევაში მხოლოდ გახანგძლივდება მორწყვის ხანგძლივობა. მოსარწყავად დღეღამეში 18 $მ^3$ წყალის საჭირო, ამ რაოდენობის წლის ამოღება კი მდინარეებზე და მის ეკოსისტემაზე რაიმე ზეგავლენას არ მოახდენს.
10. **ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე** - ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან, რომელიც დაკავშირებულია მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნასთან, გადატანასთან, ტრანსპორტირებასთან, დასაწყობებასთან და ა.შ. მილების ჩალაგებისას მოხდება 10 სმ სიღრმის თხრილის გაკეთება(დაახლოებით ისეთის როგორიც კეთდება თესვის და დარგვის სამუშაოებისას) ჩალაგდება მილები და ზემოდან ისევ გადაეყრება მიწა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო სამუშაოებისას ასევე სამუშაოების დასრულების შემდგომ ნიადაგის/გრუნტის წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი შესაბამისად არ განიხილება მისი შემდგომი მართვის საკითხი.

   დაგეგმილი საქმიანობისას ზემოქმედება მიწის რესურსებზე(მიწის ნაყოფიერი ფენის გაუვარგისება-დეგრადირება) არ არის მოსალოდნელი.

7. **გამოსაყენებელი წყლის მოცულობა: -** წლიურად შეადგენს 216 კუბურ მეტრს.
8. **ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე** - ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან სარწყავი სისტემის მოწყობა არ იქნება

დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან, რის გამოც ზემოქმედება მიწის რესურსებზე(მიწის ნაყოფიერი ფენის გაუვარგისება-დეგრადირება) არ არის მოსალოდნელი.
დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სხვა ბუნებრივი რესურსის გამოყენება არ იგეგმება.
საქმიანობის პროცესში გამოყენებული წყლების ჩაშვება წყალსატევებში არ იგეგმება.
გამოყენებული ელექტრო ტუმბოების მცირე სიმძლავრის გამო არ არსებობს გარემოზე ვიბრაციით და ხმაურით ზემოქმედების საფრთხე.
საპროექტო ტერიტორია უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 70მ მეტი დაშორებით მდებარეობს. საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსახლეობაზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე არ ექნება ადგილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს.

ფლორა და ფაუნა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი მცენარეულობა უმთავრესად შეცვლილია კულტურული მცენარეულობით, რადგანაც ტერიტორიის დიდი ნაწილი ანთროპოგენური გავლენის ქვეშ არის. შესაბამისად ველურ ბუნებაზე ზემოქმედებაც დიდია. უნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1000-ზე მეტი სახეობის მცენარეა. ტყეს უკავია 17 021 ჰექტარი (მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის 25,21 %).
სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი შემოსილია მთის ტყეებით და მთის მდელოებით. ზღვისპირა დიუნებზე ქვიშნარების მცენარეულობაა. დაჭაობებულ დაბლობებზე ადრე გავრცელებული იყო ჭაობის ტყეები, ხოლო შედარებით დრენირებულ ადგილებში — ლეშამბოიანი მურყნარ-ლაფნარი. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი წინათ შემოსილი იყო მარადმწვანე ბუჩქნარიანი კოლხური ტყეებით. ამჟამად ბარში ტყეები თითქმის მთლიანად გაჩეხილია, მის ადგილას კულტურული მცენარეები, ნაწილობრივ, მეორადი ტყეებია. მცენარეულ საფარს ქმნიან წაბლი, რცხილა, თხმელა, ქვეტყის სახით გვხვდება მოცვი, შქერი, წყავი. ბუნებრივი ტყეები შემორჩენილია მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ მაღალმიან მხარეში. მთის ტყის ზონაში ქვემოთ გაბატონებულია წიფლნარი. ზღვის დონიდან 700-1700 მეტრზე არის ფოთლოვანი ტყე (მურყანი, რცხილა, წიფელი). 1700-2100 მეტრზე ზემოთ გაბატონებულია წიფლნარ-მუქწიწვიანები (წიფელი, ნაძვი, სოჭი). ალაგ-ალაგ ნაძვისა და სოჭის წმინდა კორომებია. ტყის ზონის ზემოთ სუბალპური ტყეების ვიწრო ზოლია, სადაც გვხვდება პონტოური მუხა, შემდეგ — სუბალპური და ალპური მდელოები, რომლებიც სათიბ-საძოვრებადაა გამოყენებული.

დაგეგმილი საქმიანობის ფაუნისტური დახასიათება - ოზურგეთის რაიონის რაიონის ტერიტორია ხასიათდება ფაუნის მრავლფეროვნებით. აქ წარმოდგერნილი ცხოველთა სამყაროდან აღსანიშნავია კოლხური თხუნელა, პონტური ზღარბი, ჩვეულებრივი ღამურა, კავკასიური ციყვი, კავკასიური მურა დათვი, ამიერკავკასიური მთის მელა, კავკასიური მგელი, ტურა, კავკასიური ტყის კატა, კავკასიური ფოცხვერი, კავკასიური თეთრყელა კვერნა, მაჩვი, ევროპული შველი, არჩვი. დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორია წარმოადგენს

სასოფლო-სამეურენო დანიშნულების მიწის ფართობს, რომელიც ათეულობით წელია გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულად. საპროექტო საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური ზემოქმედების მქონე ტერიტორიებზე, რომელიც წლების განმავლობაში გამოიყენებოდა აქტიურად სასოფლოსამეურნეო დანიშნულებით.

პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მრავალწლიანი ხე-მცენარეების ჭრას. ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთეული ბუჩქოვანი მცენარეები და დეგრადირებული ბალახოვანი საფარი. მათგან არცერთი არ წარმოადგენს საკონსერვაციო თუ რაიმე სხვა სახის ღირებულ სახეობას. ბუჩქოვანი მცენარეები განთავსებულია მიწის ნაკვეთის საზღვარზე და ცოცხალ ღობეს ქმნის. დაგეგმილი საქმიანობისას მათი მოჭრა არ იგეგმება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისად, ამ მხრივ ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც უმნიშვნელო. იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებით, ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები პრაქტიკულად არ არსებობს შესაბამისად ამ ტერიტორიაზე ბუნებრივად მზარდი და მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმები არ ფიქსირდება.

ნარჩენების მართვა

საქმიანობის შედეგად არ წარმოიქმნება ნარჩენები, მათ შორის ადგილი არ აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმოქმნას.

ჩამდინარე წყლები - საწარმოს საქმიანობის პროცესში არ არის მოსალოდნელი ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, შესაბამისად გამოყენებული წყლების(ჩამდინარე წყლების) ჩაშვება წყლის ობიექტებში არ იგეგმება.

ხმაური და ვიბრაცია - დაგეგმილი საქმიანობისას გამოყენებული ელექტრო ტუმბოების მცირე სიმძლავრის გამო არ არსებობს გარემოზე ვიბრაციით და ხმაურით ზემოქმედების საფრთხე.

მიმდებარე რეციპიენტებზე ზემოქმედება - საპროექტო ტერიტორიდან უახლოესი მოსახლის სახლი 70 მ-ში მდებარეობს, თუმცა საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსახლეობაზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე არ ექნება ადგილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს.

ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე - რეგიონი მდიდარია კულტურული, ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. რეგიონში მრავლადაა ეკლესია-მონასტრები, არამატერიალური კულტურული ძეგლები. გარდა ამისა რეგიონი წარმოადგენს ტურისტულად დატვირთულ რეგიონს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები საპროექტო ტერიტორიის ზონაში და მის სიახლოვეს 1კმ-ში არ ხვდება, რაც გამორიცხავს ისტორიულ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენას.

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მომსახურე პერსონალის და სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
დაგეგმილი საქმიანობა დადებითად აისახება რაიონის და ქვეყნის სოციალურ გარემოზე რადგან საწარმოს საქმიანობა გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას. გარდა ამისა, ახლად გაშენებული ბაღი დადებითად იმოქმედებს ეკოსისტემის გაჯანსაღებაზე.

ბუნებრივი რესურსები - დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სხვა ბუნებრივი რესურსის გამოყენება არ იგეგმება.
ჩამდინარე წყლები - საწარმოს საქმიანობის პროცესში არ არის მოსალოდნელი ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, შესაბამისად გამოყენებული წყლების(ჩამდინარე წყლების) ჩაშვება წყლის ობიექტებში არ იგეგმება.
ხმაური და ვიბრაცია - დაგეგმილი საქმიანობისას გამოყენებული ელექტრო ტუმბოების(საყოფაცხოვრებო დანიშნულების) მცირე სიმძლავრის გამო არ არსებობს გარემოზე ვიბრაციით და ხმაურით ზემოქმედების საფრთხე.
მიმდებარე რეციპიენტებზე ზემოქმედება -საპროექტო ტერიტორიდან უახლოესი მოსახლის სახლი 300 მ-ში მდებარეობს, რის გამოც საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსახლეობაზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე არ ექნება ადგილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს.
ნარჩენების მართვა - საქმიანობის შედეგად არ წარმოიქმნება ნარჩენები, მათ შორის ადგილი არ ექნება საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმოქმნას.
დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მომსახურე პერსონალის და სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
დაგეგმილი საქმიანობა დადებითად აისახება რაიონის და ქვეყნის სოციალურ გარემოზე რადგან საწარმოს საქმიანობა გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას.

დანართი N1-1 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 26.14.11.140

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882019049787 - 25/01/2019 11:19:51	11/02/2019 15:26:34

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ოზურგეთი	მაკვანეთი		
26	14	11	140

მისამართი: მუნიციპალიტეტი ოზურგეთი , სოფელი მაკვანეთი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 5000.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019049787 , თარიღი 25/01/2019 11:19:51
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/02/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N48/91507, დამოწმების თარიღი:03/07/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
- მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი N174 თარიღი:01.07.1995წ.
- სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმი N00013, დამოწმების თარიღი:06/02/2019, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
- წერილი N1612, დამოწმების თარიღი:07/02/2019, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
- სხდომის ოქმი N55, დამოწმების თარიღი:25/04/2018 , საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო დოკუმენტების პირისათვის კუთვნილების ფაქტის დამდგენი კომისია

მესაკუთრეები:
ბადრი ზამინამშვილი,P/N: 33001006374
ნიკოლოზ ზამინამშვილი,P/N: 33001032535

მესაკუთრე:
ნიკოლოზ ზამინამშვილი
ბადრი ზამინამშვილი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

დანართი N2 სიტუაციური რუკა

სიტუაციური გეგმა

საკადასტრო კოდი: 26.14.11.140

ფართობი: 5000 კვ.მ.



პირობითი აღნიშვნა:

WGS 84 / UTM zone 38N

მ. 1:20 000

დანართი N1-3 - უსახელო ღელეს ჰიდროლოგიური ანგარიში

დანართი

სკ-26.14.11.140 ნაკვეთზე წვიმისგან მოსული წყლის ხარჯის განსაზღვრა

მდ. ბჟუჟას წყლის ხარჯი მდ. აჭისწყლის შესართავამდე



წყალშემკრები აუზის ფართობი, $კმ^2$	წყლის მაქსიმალური ხარჯი, $მ^3$			
	1%	2%	5%	10%
164	492	426	328	279

მონაცემები მოცემულია თანახმად:

Ресурсы поверхностных вод сср. ГидрографиЧеские описания рек, озер и водохранилищ. Том 9. Выпуск 1. Ленинград 1974

გენგეგმა

საკადასტრო კოდი: 26.14.11.140
ფართობი: 5000 კვ.მ.



პირობითი აღნიშვნა:

საკადასტრო წითელი ხაზი

WGS 84 / UTM zone 38N

მ. 1:2 000